## ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №26

ქ.ქუთაისი 16 სექტემბერი 2011 წელი

### 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ –"ხელშეკრულება") – "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.3 "მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

1.4 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

### 2. ხელშეკრულების დამდები მხარეები.

2.1 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:
ერთის მხრივ, სსიპ ქ.ქუთაისის №2 საჯარო სკოლა, მის: გ.ტაბიძის ქ.№58,

საბანკო რეკვიზიტები ს/კ 212850155, , სს "კორსტანდარტ ბანკი" ანგ.№

GE30KS0000050004163175, ბანკის კოდი: AGREGE22,

სკოლის დირექტორი სალომე სარალიძე (შემდგომში შემსყიდველი)

და მეორეს მხრივ შპს "თეგიკა უნივერსალი" ქუთაისი ხახანაშვილის ქ №11ა, ს/კ 212871383, თიბისი ბანკი ქუთაისის ფილიალი ა/ა GE76TB0300000360501013, ბანკის კოდი: TBC BGE 22, დირექტორი თ.გვანცელაძე (შემდგომში მიმწოდებელი) შორის.

### 3. ხელშეკრულების საგანი.

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქ.ქუთაისში გ.ტაბიძის ქ.№58-ში მდებარე №2 საჯარო სკოლის II კორპუსში ოთხი ოთახის შეკეთების სამუშაოები.

ქ.მ.ხ.ლ.ს.მ.ე. ჩ.ს.რ.ც.ი. CPV კოდი – 45442180

### 4. ხელშეკრულების ღირებულება.

4.1 შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება შეადგენს 2250 ლარს. – ...

4.2 სამუშაოების შესრულების ადგილი – ქ.ქუთაისი, №2 საჯარო სკოლა, გ.ტაბიძის ქ.№58

### 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი.

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია 2011 წლის 25 სექტემბრამდე განახორციელოს ქუთაისის №2 საჯარო სკოლის II კორპუსში ოთხი ოთახის შეკეთების სამუშაოები, იგი პასუხისმგებელია შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და ვარგისიანობაზე.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულება.

5.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პრის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5.5 მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალ დებულებებზე.

5.6 შემსყიდველი ვალდებულია დაფაროს ექსპერტიზის ხარჯები.